საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 29

ქ. თბილისი 29 მაისი 2014წ.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 38-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტიდან, საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

2. სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემს, დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

3. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე, გაიცემა ის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა ერთი პირის მიერ არ აღემატება 5 ლარს.

დირექტორი ნ. ჩიხრაძე